სატახტო ქალაქი და მისი მნიშვნელობა შუა საუკუნეებში - თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი

ნინო ჩაჩანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის აკადემირი ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ნინო ჩაჩანიძე

ნ.ჩაჩანიძე 10.07.2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „სატახტო ქალაქი და მისი მნიშვნელობა შუა საუკუნეებში - თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი“ არის მცდელობა წარმოადგინოს შუა საუკუნეების თბილისის მთავარი მახასიათებლები და ის ფაქტორები, რომელმაც ის ჩამოაყალიბა მრავალფეროვან ქალაქად და აქცია გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. თბილისის საქალაქო ცხოვრების, რეგიონალური და საერთაშორისო ურთიერთობების ჩვენებით ნაშრომში დასაბუთებულია თბილისის, როგორც სატახტო ქალაქის მნიშვნელობა.

ნაშრომი ეყრდნობა, ერთის მხრივ, როგორც ქართულ ასევე აღმოსავლურ ნარატიულ წყაროებს, ხოლო მეორეს მხრივ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ გამოცემულ ნაშრომებსა და პუბლიკაციებს. აღსანიშნავია, ასევე ბოლო პერიოდის არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური აღმოჩნები, რომელმაც საშუალება მოგვცა აქამდე არსებული ისტორიკოსთა შეხედულებები ახლებურად შეგვეფასებია.

ნაშრომში შესწავლილია: X-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები (თბილისთან საერთო მახასიათებლები და პარალელები); მახლობელ და შუა აღმოსავლეთში არსებული საქალაქო მმართველობის რიგი თავისებურებები შედარებულია თბილისის მმართველობის სისტემაას X-XII საუკუნეებში; მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის თვალსაზრისით გაანალიზებულია, X-XII საუკუნის თბილისის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები მახლობელ ქალაქებთან. დავით აღაშენებლის მიერ თბილისის შემოერთების მნიშვნელობა და სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდგომ ქალაქში მიმდინარე ცვლილებები (ქალაქის გათავისუფლებამდე არსებულ მმართველობით სისტემასთან შედარება)

ვფიქრობ, წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესო უნდა იყო შუა საუკუნეების თბილისის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიით დაინტერესებული პირებისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თბილისი, სატახტო ქალაქი, დედაქალაქი, საქალაქო ცხოვრება, ამირა, ამირთამირა, კომუნა, ქალაქთა შორის ვაჭრობა და საერთაშორისო ურთიერთობები, მმართველობის თავისებურებები, სოციალური მოძრაობა ქალაქებში.

Abstract

The master's thesis "The capital and its role in the Middle Ages - Tbilisi, the capital of united Georgia" is an attempt to present the main features of medieval Tbilisi and the factors that contributed to the formation of a diverse medieval city that developed as a political, economic and cultural center of united Georgia. The importance of Tbilisi as a capital is confirmed by a description of the city life, regional and international relations that Tbilisi had.

Georgian and Oriental narrative sources as well as publications and scientific works of Georgian and foreign scholars have been used in the work. In addition, it should be noted that recent archeological and numismatic findings helped us to reconsider the opinions of some historians.

The paper presents studies on the following issues: important issues of urban lifestyle in the western medieval cities of the X-XIII centuries. (Parallels and common features with Tbilisi); comparison of X-XII cc. peculiarities of management of Tbilisi and Oriental cities; trade-economic relations of Tbilisi of X-XII cc. and Oriental cities; the importance of Tbilisi's recapture by David IV and the following changes in the new capital (comparison of management systems before and after the reconquista). The presented work can attract the interest of scientists/scholars interested in social, political and economic life of medieval Tbilisi.

Keywords: Tbilisi, capital, royal city, urban lifestyle, Amir, Amirtamira, community, intercity trade and international relations, peculiarities of governance, social movements in rural areas.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, შუა საუკუნეების კვლევების მიმართულების ხელმძღვანელებს და ამავე მიმართულების პროფესორებს. განსაკუთრებული მადლობა კი ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ბეჟან ჯავახიას,ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დამხმარებისათვის, რომლის რეკომენდაციები და რელევანტური შენიშვნები დამეხმარა დასახული მიზნის შესრულებაში.